

თემა 30

დაბადების დღე

День пождения

ამოცანები:

- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ იკითხოთ ასაკი და თავიანთი ასაკის შესახებ უამბონ სხვებს.

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი რიცხვებთან დაკავშირებით აწყობს გამეორებას; რიცხვებს 1-დან ათამდე უკითხავს.

2. თამაში 27-1:

დაღმა თვლა

კატეგორია- საუბარი

ჯგუფი- ნებისმიერი

სივრცე- საჭიროა

მასალები- ნაგვის ურნა ან სხვა სამიზნე, რაიმეს სასროლად

თამაშის წესი: მიეცით ინსტრუქცია, წარმოიდგინონ უზარმაზარი ტორტი, რომელსაც უნდა ესოლონ ,ან მთვარე საითაც უნდა ისროლონ ნივთები. დაითვალეთ უკუღმა ათიდან ნულისაკენ და თან დაიწყეთ სროლა თვლის შესაბამისად. იგრიგბით ასროლინეთ თითოეულ მოსწავლეს შერჩეული საგანი და დაათვლევინეთ უკუღმა ციფრები 10-დან 0-მდე.

3. მასწავლებელი უკითხავს / ასმენინებს ბავშვებს ტექსტს.

ამბავი:

დღეს ნიკას დაბადების დღეა. მან თავის დაბადების დღის წვეულებაზე დაპატიჟა ლილიტი და ამინი. დედამ დაბადების დღის ტორტი გამოაცხო და ექვსი სანთელი ჩააჩუ. ბავშვები მაგიდის გარშემო სხდებიან და ასაკის შესახებ იწყებენ საუბარს (ან ერთმანეთს ასაკს ეკითხებიან).

4. თამაში # 27-1.

მხიარული მაიმუნი

ბავშვები სხედან ან დგანან წრიულად. წრის ცენტრში უამრავი ბარათია ამოტრიალებული. ცენტრში მდგარი მოსწავლე სათითაოდ იღებს ბარათებს, ხოლო დანარჩენი ბავშვები

ასახელებენ სიტყვებს, რასაც ხედავენ. ბოლოს, როდესაც მაიმუნის ბარათი გამოჩნდება ყველა ერთად დგება ცენტრში და ერთხმად ყვირის: „მხიარული მაიმუნი“.

- გაითვალისწინეთ , რომ ყველა ბარათი ერთმანეთის მსგავსი უნდა იყოს და მხიარული მაიმუნის ბარათი არ უნდა განსხვავდებოდეს ფორმით მათგან.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები/გრამატიკა
<ul style="list-style-type: none"> • რიცხვები 1-10 (გამეორება) • ასაკი, • თითქმის, • ოთხი, • ექვსი, • შენ, • ის, • წლები 	<ul style="list-style-type: none"> • ექვსი წლის ხარ ნიკა? • კი, ექვსი წლის ვარ • ამინ, შენ რამდენი წლის ხარ? • მე ექვსის ვხდები. • ლილიტი რამდენი წლისაა? • ის ოთხი წლის არის (ან ოთხი წლისაა) • შენ ოთხი წლის ხარ.

რესურსი:

ბანერი - დაბადების დღე

ნახატები (სხვადასხვა საჩუქარი დაბადების დღითვის - 10 სურათი; 5 საჩუქარი - გოგონასთვის,

5 საჩუქარი - ბიჭისთვის).